სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №320206/01/143
(CPV) კოდი: **22111000** - სასკოლო წიგნები

(SMP160002172)

ქ. თბილისი 25 აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" (შემდგომში ,,შემსყიდველი'') დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „გამომცემლობა არტანუჯი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ეთერ ბაიდოშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2016 წლის 12 აგვისტოს N2336 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს N1722 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება;

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის, რაოდენობა, აღწერილობა და ფასები მოცემულია დანართი N1-სა და დანართი N2-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით და/ან მის სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 58 717.55 (ორმოცდათვრამეტი ათას შვიდასჩვიდმეტი ლარი და ორმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს (დღგ-ს გარეშე).

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, შენახვის და ტრანსპორტირების ხარჯებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები, წესი და ადგილი

5.1. მიწოდების კონკრეტული ვადები მოცემულია ხელშეკრულების 9.1. პუნქტში.

5.2. წიგნების მოწოდება უნდა განხორციელდეს სათანადო შეფუთვით (პოლიეთილენი ან ქაღალდი) რაზედაც აღნიშნული იქნება კონკრეტული სახელმძღვანელოს დასახელება, რაოდენობა და წიგნის კოდი.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

5.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო მოწოდების ადგილი ქ. თბილისი, დიდი ლილო, ერეკლეს II ქუჩა;

5.5. საქონლის მიწოდება ხდება ამ ხელშეკრულების დადგენილი წესის მიხედვით.

6. მხარეთა ვალდებულებები და გარანტიები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. და 2.2. პუნქტებში მითითებული უნაკლო საქონელი.

6.2. თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. შემსყიდველი ვალდებულია საქონლის სრულყოფილად მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება უშუალოდ მიმწოდებლის საწყობში ადგილზე;

6.6. მიმწოდებელი ვალდებულია ხარისხის პრევენციის მიზნით, განახორციელოს მოცემული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისობა გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოსთან მიმართებაში;

6.7. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მისთვის დაუძლეველი გარემოებების დადგომისას, რითაც საფრთხე შეექმენება ვალდებულების შესრულებას, დაუყოვნებლივ გამონახოს ალტერნატიული გზები და საშუალებები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების, შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

7.3. საავანსო ანგარიშსწორების წესი და პირობები:

ა) მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი წინასწარ ანგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით. მიმწოდებლის მიერ, ამავე თანხაზე წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადაც მინიმუმ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ.

ბ) ავანსის გამოქვითვა განხორციელდება ავანსად გაცემული თანხის შესაბამისი ღირებულების მიწოდებული საქონლის მოცულობის სრული ოდენობით, რის შემდეგაც შემსყიდველი უბრუნებს მიმწოდებელს საბანკო გარანტიას წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გ) ავანსად გაცემული თანხის სრულად გაქვითვის შემდეგ, შემსყიდველი მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორებას განახორციელებს ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების გაფორმებისა და საგადასახადო ინვოისის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით შემსყიდველი ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უშუალოდ მიმწოდებლის ადგილზე. ინსპექტირების ჯგუფის წევრები არიან სსიპ „საგანმნათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლელა სვიმონია და თანამშრომლები - ნიკოლოზ სხილაძე, თენგიზ თოდაძე;

8.2. მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან სსიპ „საგანმნათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ლელა სვიმონია და თანამშრომლები - ნიკოლოზ სხილაძე, თენგიზ თოდაძე.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მიღება-ჩაბარება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 05 სექტემბერისა.

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი სასაქონლო ზედნადები.

9.3. შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარება ფორმდება საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა.

9.4. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო სასაწყობე ფართის მოძიება და მიმწოდებლის მიერ, შეთანხმებულ მისამართზე საქონლის/მომსახურების მიწოდებისთანავე უზრუნველყოს მისი მიღება/ჩაბარება, წინააღმდეგ შემთხვევაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს დამზადებული პროდუქციის იძულებით დასაწყობებაზე გაწეული ხარჯი.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ინსპექტირების ჯგუფის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, რა დროსაც მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ით.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

110.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მიუწოდებელი საქონლის შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

11.4 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
11.5 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;
11.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების საბოლოო ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
11.8 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით;
11.9. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია საქონლის მიწოდების დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს ოდენობით.
11.11 ამ მუხლის 11.7 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება;

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, სამხედრო მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რაც წერილობით უნდა დაუდასტუროს შემსყიდველმა. თუ შემსყიდველი დამდგარ გარემოებას არ ჩათვლის ფორსმაჟორად, მიმწოდებელი ვალდებულია გააგრძელეოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და გამონახოს ამ ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები და გზები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.
12.4. მხარეთა მიერ გათვალისწინებული ფორსმაჟორული გარემოებების გასვლის შემდეგ, თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

14.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მოითხოვება;

15. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი შალუტაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „გამომცემლობა არტანუჯი", მისამართი: ი. ჭავჭავაძის ქ. N17ბ, ტ: 2 91 22 83, ს/კ: 204952015, ს.ს „ბანკი რესპუბლიკა", ბანკის კოდი: REPLGE22, ა/ნ: GE78BR0000003608011403

დირექტორის მინდობილი პირი ეთერ ბაიდოშვილი

(ხელმოწერა ან/და ბეჭედი)

დანართი N1 - სახელმძღვანელოს დასახელება, რაოდენობა და ფასები

N	საგანი	წიგნის კოდი	რვეულის კოდი	წიგნის დასახელება	გამომცემლობა	ავტორი	სახელმძღვანელოების რაოდენობა	გამომცემლობის ფასები (წიგნები)	გამომცემლობის ჯამური ღირებულება (წიგნები)
1	რუსული ენა	651	651რ	რუსული ენა ს1	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	4238	3.85	16316.3
2	რუსული ენა	654	654რ	რუსული ენა ს4	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	4023	2.95	11867.85
3	რუსული ენა	655	655რ	რუსული ენა ს5	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	2803	3.95	11071.85
4	რუსული ენა	656	656რ	რუსული ენა ს6	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	1346	5.95	8008.7
5	რუსული ენა	657	657რ	რუსული ენა ს7	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	1625	4.95	8043.75
6	რუსული ენა	658	658რ	რუსული ენა ს8	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	467	7.3	3409.1
					სულ ჯამი		14502		58717.55

PUBLISHING HOUSE "ARTANUJI" LTD
GEORGIA 204952015
ARTANUJI

ტექნიკური მახასიათებლები

დანართი 2

N	საგანი	წიგნის კოდი	წიგნის დასახელება	გამომცემლობა	ავტორი	გვერდების რაოდენობა	შიგთავსის ქაღალდის ტიპი	შიგთავსის ქაღალდის წონა	ბეჭდვის ფერების რაოდენობა (შიგთავსი)	გარეკანის ქაღალდის ტიპი	გარეკანის ქაღალდის წონა	გარეკანის საფარის ტიპი	ბეჭდვის ფერების რაოდენობა (გარეკანი)	კინძვის ტიპი
1	რუსული ენა	651	რუსული ენა ს 1	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	128 A4	ოფსეტური	70 გრ	4+4	ცარცის	200გრ	ლამინაცია ან უველაკი	4+4	თერმული
2	რუსული ენა	654	რუსული ენა ს 4	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	100 A4	ოფსეტური	70 გრ	4+4	ცარცის	200გრ	ლამინაცია ან უველაკი	4+4	თერმული
3	რუსული ენა	655	რუსული ენა ს 5	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	114 A4	ოფსეტური	70 გრ	4+4	ცარცის	200გრ	ლამინაცია ან უველაკი	4+4	თერმული
4	რუსული ენა	656	რუსული ენა ს 6	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	114 A4	ოფსეტური	70 გრ	4+4	ცარცის	200გრ	ლამინაცია ან უველაკი	4+4	თერმული
5	რუსული ენა	657	რუსული ენა ს 7	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	96 A4	ოფსეტური	70 გრ	4+4	ცარცის	200გრ	ლამინაცია ან უველაკი	4+4	თერმული
[illegible]	[illegible] ენა	658	რუსული ენა ს 8	შპს "გამომცემლობა არტანუჯი"	მაია ლორთქიფანიძე, ირინე ჩხეიძე, თამარ ჩიმაკაძე	98 A4	ოფსეტური	70 გრ	4+4	ცარცის	200გრ	ლამინაცია ან უველაკი	4+4	თერმული

'GSS ექსელი' - Superfin ©1999 GSS ltd.

გამომცემლობა
არტანუჯი
ARTANUJI
PUBLISHERS

მინდობილობა

თბილისი **24 აგვისტო 2016**

შპს "გამომცემლობა არტანუჯი" ენდობა ეთერ ბაიდოშვილს (პირადობის მოწმობა 45001007011. ა 1049844. გაცემულია სრს ყვარლის სამსახურის მიერ 24.04.07) აწარმოოს საქმიანი ურთიერთობა და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან". მინდობილობა გაცემულია 1 წლის ვადით.

შპს "გამომცემლობა არტანუჯის"

დირექტორი მაია კუდავა

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5. ტელ/ფაქსი: (+995 32) 225-05-22, 291-22-83
Ilia Chavchavadze Avenue 5, 0179, Tbilisi, Georgia. Tel/Fax: (+995 32) 225-05-22, 291-22-83
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080172780685116

 # 2336 **12 / აგვისტო / 2016 წ.**

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის" სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2016 წლის 10 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" SMP160002172 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია 120701 ერთეული სახელმძღვანელოსა და 378533 ერთეული რვეულის (CPV 22100000 - ნაბეჭდი წიგნები, ბროშურები და საინფორმაციო ფურცლები) შესყიდვა, რომლის ღირებულება შეადგენს 873920.6 ლარს.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტის - განათლების ხარისხის და ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ქმნის განათლების სისტემის განვითარების და სათანადო სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის პირობებს. აღნიშნული მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად. ამ მხრივ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეთა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებას. შესაბამისად, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 11 აპრილის №296 ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას.

როგორც მომართვიდან ირკვევა, პროგრამის განხორციელების საწყისი ღონისძიება სისტემაში არსებული სახელმძღვანელოების და რვეულების ვარგისიანობის შეფასებაა, რის შედეგადაც დგინდება დამატებით შესასყიდი სახელმძღვანელოებისა და რვეულების ჯამური რაოდენობა. რაოდენობების განსაზღვრისას ასევე მნიშვნელოვანია რესურსცენტრებში დასაწყობებული სახელმძღვანელოებისა და რვეულების სკოლებს შორის გადანაწილება. საქართველოს საგანმანათლებლო რესურსცენტრებში 2016 წლის 15 ივლისამდე დასაწყობებული და საჯარო სკოლების მიერ მოწოდებული სახელმძღვანელოებისა და რვეულების ნაშთი საჭიროებისამებრ გადანაწილდა მათ დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სკოლებს შორის. გადანაწილების შემდეგ, რესურსცენტრში დარჩენილი ნაშთი გამოიგზავნა სააგენტოს საწყობში. აღსანიშნავია, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული მონაცემები არ დაემთხვა სკოლაში რეალურად არსებულ ზედმეტი სახელმძღვანელოებისა და

რვეულების რიცხვს. აქვე აღსანიშნავია, რომ პროცესის მიმდინარეობისას სხვადასხვა რესურსცენტრებიდან ფიქსირდებოდა სატელეფონო ზარები მსგავსი პრობლემის არსებობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, აუცილებელია მაქსიმალური სიზუსტით დადგინდეს შესასყიდი სახელმძღვანელოებისა და რვეულების რაოდენობა. 2016 წლის 19 ივლისს, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას" გაეგზავნა № 886157 წერილი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილი იყო ელექტრონული ბაზების თავიდან გახსნა და სკოლების მხრიდან სახელმძღვანელოების და რვეულების რეალური რაოდენობების დაფიქსირება. მიმდინარე წლის 26 ივლისს სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან" მიღებული იქნა ინფორმაცია სახელმძღვანელოებისა და რვეულების რეალური რაოდენობების შესახებ. 2016 წლის 26 ივლისიდან 2016 წლის 01 აგვისტომდე პერიოდში მიმდინარეობდა მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება. ამასთან, ჩატარდა ბაზრის კვლევა, რისთვისაც ვადა განისაზღვრა 2016 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული შესყიდვა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ ვერ დაიგეგმა.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გასათვალისწინებელია, რომ პორტატული კომპიუტერების, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების გადაზიდვაზე სააგენტოს მიერ გამოცხადებულ SPA160020492 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში, დადებულია სათანადო ხელშეკრულება № 320206/01/115. სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალურად ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული და მოცემულ ეტაპზე შესასყიდი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების გადაზიდვა განხორციელდეს ერთიანად. ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარ გახდება ერთიდაიგივე ქალაქში განმეორებით ტვირთის ჩატანა და ტრანსპორტირებისათვის დამატებითი ხარჯის გაწევა. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, არსებობს რისკი იმისა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე ვერ მოესწროს სასკოლო წიგნებისა და რვეულების საჯარო სკოლებისათვის მიწოდება, რაც სასწავლო პროცესის ხელშემშლელი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მითითებული საქონლის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია 120701 ერთეული სახელმძღვანელოსა და 378533 ერთეული რვეულის შესყიდვა.

ამასთან, აღნიშნული შესყიდვების განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, არსებობს რისკი იმისა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე ვერ მოესწროს სასკოლო წიგნებისა და რვეულების საჯარო სკოლებისათვის მიწოდება, რაც სასწავლო პროცესის ხელშემშლელი ფაქტორი შესაძლოა აღმოჩნდეს. ამასთან, პორტატული კომპიუტერების, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების გადაზიდვაზე სააგენტოს მიერ გამოცხადებულ SPA160020492 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში, დადებულია სათანადო ხელშეკრულება № 320206/01/115. სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალურად ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული და მოცემულ ეტაპზე შესასყიდი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების გადაზიდვა განხორციელდეს ერთიანად. ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარ გახდება ერთიდაიგივე ქალაქში განმეორებით ტვირთის ჩატანა და ტრანსპორტირებისათვის დამატებითი ხარჯის გაწევა.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვები განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა

უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP160002172 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1722 2016 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსწავლეების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოების სახელმწიფო შესყიდვა „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს

კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებიდან (პროგრამული კოდი: 32 02 06), რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**